# ნაკადული



დეკემბერი 1918 წ.
№ 7.

საყმაწვილო ჟურნალი
მცირე წლოვანთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული

წელიწადი მე-XIV. № 7. დეკემბერი 1918 წ.

899.962.1(05)
Б-22
F-58/9



დების სიყვარული.

910/12

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი


I—დების სიყვარული,—სურათი . . . . . . . . . . . . . . . 1

II—შემოდგომა ბუკის ციხეში,—ი. სიხარულიძისა . . . . . . . 3

III—ცელქები,—დემნა მროველისა . . . . . . . . . . . . . . 4

IV—ოქროს თავთავი—(დასასრული) პიესად გადმოკეთებული შ. მღვიმელით დ. კასრაძისა. . . . . . . . . . . . . . . . 14

V—წვიმის წვეთი—თარგმანი იტასი . . . . . . . . . . . . . 18

VI—შემოწირულებანი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 24


სტამბა-ლიტოგრაფია **საქართველოს** დემოკრ. რესპუბლიკის რკინის გზისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შემოდგომა გურიის ცირხეში.

შემოდგომა სხვა სოფელს ნეტავ ასე უხდება?
შემოდგომა ნეტავი სადმე ასე უხვდება?!
სხვაგან არსად სოფლებში რომ არ ასხია ვაზებს,
აქ ვენახი, შეხედე, თავს როგორ ილამაზებს;
ლერწები ვერ უძლებენ მსხვილ-მსხვილ მტევნებს დაკუნ-
წლულს,
მაჭრის ჩქეფა-ჩქრიალი ვის არ გაუხარებს გულს?!
ჩურჩხელები მზადდება თხილის, ნიგვზის და ვაშლის,
წიწიბოს წვრილ გალიებს ეშმაკებიც ვერ დაშლის;
ფელამუში, ბადაგი, ტკბილის კვერი თხელ-თხელი,
ალადასტურის ყურძენის აკიდო მტევნებ გრძელი
სახლის ჭერს ალმაზებს შუა გამოკიდული!
ძღება თვალი კაცისა და სიამით, სძგერს გული
სიმინდის ყანები ხომ ტურფა სანახავია,
რა კალოები დგება, რა ბარაქა, ხვავია!
აბა ღომი! წითელი, ბოჯგა, ორმოსავალი!
ნალიები ივსება, დაუდგება მტერს თვალი.
იწყება ღომის ცეხვა, მინდვრათ სდგას ქვის ჩამური;*)
ხელკავს სცემენ ქალები, მღერა აქვთ საამური...
ყველა შრომობს ფუსფუსობს, კმაყოფილი შრომითა
ყველა მადლიერია უხვი შემოდგომითა.
მსუქანმა შემოდგომამ სოფელი გაამდიდრა,
და მუშებში ბარაქა, სიმშვიდე დაამკვიდრა.

ი. სიხარულიძე.

*) ღომის საცეხველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ცელქები.

აბა, შვილებო! ვინძლო, კარგად მოიქცეთ ჩემს მოსვლამდე!—უთხრა დედა ქეთევანმა ბავშვებს და წასვლა დააპირა.—სახლი არ ააქოთოთ თქვენებურად. მაია!—მიუბრუნდა გამდელს,—ყური უგდე, პატარა გოგია არ ატირონ.

— სად მიხვალ, დედილო?—შეეკითხა შალიკო დედას და კაბის კალთას წაებღაუჭა,—მეც წამოვალ.

— არა, შვილო, არ შეიძლება! საქმეზე მივდივარ... კოტე! აბა, შენ იცი, როგორც მოუთაროებ მურაბებს. მე შენთვის ბევრჯელ შემიმჩნევია, რომ ჩუმად ხელს ჩააპარებ ხოლმე ქილაში.

— სულ მე მაბრალებ ყველაფერს,—ნაწყენი კილოთი წაიბუზღუნა კოტემ.

— მალე მოხვალ, დედილო?—წაებღაუჭა ქეთევანს ახლა გოგია,—კამფეტები მომიტანე, ცხენიც მიყიდე, კალქი?

— ჰო, შვილო, გიყიდი, ოღონდ ჭკვიანად მოიქეცით და ნუ იჩხუბებთ.

ქეთევანმა შვილები გადაჰკოცნა, კარი გაიხურა და წავიდა, ბავშვებმა ცოტა ხანს კიდევ იტრიალეს მათ ცხვირ წინ მოხურულ კარებთან და შემდეგ ერთმანერთს მიუბრუნდნენ.

— თინა, შალვა, გოგია! წავიდეთ, თხილი დავაგოროთ,—უთხრა თავის უმცროს და-ძმებს კოტემ და საბავშვო ოთახისაკენ გაექანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაიცა, შე კუდიანო, ნუ ასტეხავ ხოლმე მაგ საჩხუბარ დაგორებას! ერთი წააგებს, მეორეს წაეპოტინება და ერთ ალიაქოთს ასტეხენ. სხვა რამ ითამაშეთ,—ალერსით დაუტატანა მაიამ კოტეს.

მაგრამ ბავშვები გადიას ყურს აღარ უგდებდნენ, გაექანენ კოტესთან ერთად საბავშვო ოთახისკენ და თავ-თავისი წილი თხილი ამოიღეს უჯრებიდან.

შალვამ ეშმაკურად გაუარა გვერდით გოგიას, ხელი წაჰკრა, ვითომდა უნებურად. და თხილი დააპნევინა.

-- დე-ე და—ა!—დაიღრიალა გოგიამ.

— აჰა, აჰა, რა გაღრიალებს, მალად ხომ არ წაგკარი ხელი, უნებლიედ მომიხვდა,—საჩქაროდ წამოიძახა შალვამ, რომ ძმა დაემშვიდებინა—აი, აგიკრიფე, გოგი!—ეუბნებოდა დაშოშმინებულს ძმას და თან უკრეფავდა და თანაც თითო-ოროლას თავისაში გაურევდა ხოლმე. გოგიამ რამდენჯერმე თვალი შეასწრო და ისევ პირი დაალო სატირლად.

— აჰა, ბიჭო, რა გატირებს ერთი თხილის გულისთვის! გაგეხუმრე; აი, თუნდა ორს მოგცემ ერთის ბადლად,— ეუბნებოდა შალვა და აჩვენებდა, ვითომც მართლა ორს სდებდა.

გოგიაც მაშინვე პირს მოკუმშავდა და თვალცრემლიანი დაბნეულ თხილს ჰკრეფდა.

კოტემ საჩქაროდ წიგნი მოაცუხცუხა, რომ დასაგორებლად დაეყუდებინა.

— ბოლოლა ვარ!—დაიძახა კოტემ.

— მესამე ვარ!—დაასწრო შალვამ თინას.

— მაშ მე მეორე ვიქნები. გოგი, დააგორე, შენა ხარ პირველი!—დააბოლოვა თინამ.

— მეც მეოლე ვიქნები!—დასძინა გოგიამ.

-- არ შეიძლება, მეორე თინაა. დააგორე გოგი,—ჩაერია კოტე.

ეროვნული
ბიბლიოთეკ

— ლათაო, თუ კი თინაა, მე ლაღა ვალ!

— დააგორე, ბიჭო, შენ არაფერი გესმის, — გაუმეორა კოტემ.

— ალ მინდა, თქვენ ყველანი მატყუებთ.

— არ გინდა და ნუ გინდა, არც გათამაშებთ. წადი მაშ!— შეუტია შალვამ.

გოგიამ თავი მოიფხანა ხვნეშით და ბოლოს დაგორება არჩია, რაკი გაგდება დაუპირეს; გოგიას თინა მიჰყვა, შემდეგ შალვა. კოტემ ბევრი უმიზნა აქა იქ გაჩერეაულ თხრილებს, ეგებ როგორმე მოვარტყაო და ბოლოს ხელი გაუშვა.

— ალალო და სამართალო!—მიაძახა დაგორებულ თხილს კოტემ.

— ასცდა, ასცდა! ერთხმად წამოიძახეს ბავშვებმა, როდესაც დაინახეს, რომ თხილმა არც ერთი არ გაჰკენწლა და განზე გაჩერდა.

— გოგი, დააგორე!—მუჯლუგუნი წაჰკრა სულსწრაფმა შალვამ, რომელსაც გული ველარ უთმენდა რიგამდე.

არც გოგიას თხილი მოხვდა და ბავშვებში ისევ მხიარული „ასცდა, ასცდა!“ გაისმა.

— აბა, თინა, მალე, მერე ჩემი რიგია!—არ უსვენებდა და აჩქარებდა შალვა, რომ ცუდად დაეგორებინა თინას და არ მოეხვედრა.

— ჰაი, ტა-ტა-ტა!—დასძახა შალვამ, როდესაც თინას თხილმა გვერდით გაუარა ერთს და კინაღამ მოხვდა,—ჩემი რიგია.

— ოჰო, ოჰო! ნელა, ბიჭო, ხვალ არ მოარტყა!—შენიშნა კოტემ შალვას.

— შენ, ეი, დანავსვა ნუ იცი, თორემ მეც ეგრე გიზამ!— შეუტია შალვამ და გადაუბღვირა.—ღმერთო და ბედო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხილი რიხ-რიხით ჩაგორდა და ბევრი ტრიალის შემდეგ მოხვდა ერთ-ერთს; შალვამ ფაცხა-ფუცხით კრეფა დაუწყო.

— ჩემი თხილი, დედა! მომე ჩემი თხილი!—ატირდა გოგია, რომელსაც არ ესმოდა—რაში იყო საქმე, რომ შალვა თხილს ჰკრეფდა იატაკიდან.

— რათ უნდა მოგცე!—გაცხარდა შალვა,—ძლივს მოვიგე, ეს კი აქ მეუბნება „მომეციო“.

— ჩემი თხილი-ი-ი!—გააბა ბზუკუნი გოგიამ და იატაკზე გაიშხლართა.

— აკი გითხარ ჩხუბს ასტეხთ მეთქი, შე მოუსვენარო!—ჩაერია გადია ბავშვების საქმეში,—მიეცი თავის თხილი!

— რათა, რაო? მოვიგე, აღარა ვთამაშობ!—შესძახა შალვამ და თვალის დახამხამებაზე კარებში გაჩნდა.—აღარ მინდა, ხომ მოვიგე,! ჰე, ჰე, დაგასხოსტრეთ თუ არა!

— დამაცა შენა, და თუ მაგით არ წაავგო, მაშ მე ქალი არ ვიყო! დაემუქრა შალვას გადია—სუ, გენაცვალე, ნუ სტირი! აი, დედა მოვა,—დაუყვავა გოგიას,—ცხენს მოგიტანს, კამფეტებსა, ამ საძაგელს არ აჭამო, გენაცვალე!

— ჰო!—ტირილით დაადასტურა გოგიამ,—შალვას არ ვაწმევ! უთქლა დედასა!

შალვამ თხილი ჯიბეში ჩაიყარა და ისევ ბავშვებში ჩაერია.

— მოდით, თვალსუჭუნა ვითამაშოთ!—მოიგონა ახალი გასართობი კოტემ.

— კარგი, ვითამაშოთ!—უპასუხა და-ძმამ.

— შალვა, თვალები აიხვიე!

— მე რათაო, აზირ შენ აიხვიო?!

— მერე მე ავიხვევ!—უთხრა თინამ და, როგორც იყო, დაიყოლიეს შალვა.

— ეგრე მაგრა ნუ მიკრავ, ვერაფერსა ვხედავ!—შეფხუკიანდა შალვა.

— კარგი ყოფილა!—გადიხარხარა გულიანად კოტემ,—არ იცი, რომ ვერაფერს ვერ უნდა ჰხედავდე. აბა, დატრიალდი, მზათ არის!

შალვა დატრიალდა. ხან აქეთ ეწყვიტებოდა, ხან იქით და ხელებს აფათურებდა, ეგებ ვინმე დავიჭიროო, მაგრამ ვერ ახერხებდა; მოთამაშენი კი ხან თავში უჩაკუნებდნენ, ხან ბეჭებში, ხან ზურგში, და ბრაზი მოსდიოდა.

— მაგრა ნუ იცემებით, რომელი ხარ?—ყვიროდა შალვა.

სწორედ ამ დროს კოტემ მოხერხებულად მოუქნია ხელი და ლაზათიანად გაარტყა კისერში, რომ წკაპანი გაიღო და ბავშვებმა კი სიცილი ასტეხეს; შალვა გაცხარდა.

— ზიარების მადლმა, თვალებს ავიხსნი, არ მიჯერია. ცემა არა გვქონდა პირობაში,—ყვიროდა შალვა.—თუ დავიჭირე, ვინც მაგრა ჩამარტყამს, ცემით მოვკლავ.

კოტემ ერთი კიდევ წაარტყა კისერში და შალვა ციბრუტივით დატრიალდა ოთახში.

— ცეცხლი, ცეცხლი! — თავშეკავებით დაიძახა გოტემ, რადგან შალვა მიუახლოვდა გაშმაგებული მაგიდას, რომელზედაც დიდი ლამპა იდგა; შალვამ არ იცოდა, საით და როგორ მიბრუნებულიყო და ისე უხეიროდ მოტრიალდა, რომ გაშლილი ხელი მოსდო ლამპას მირს რახვანი გაადინა და ერთიანად დალეწა. მაშინ კი, იცოცხლეთ, ჩამოიხსნა თვალებიდან პირსახოცი და შეშინებულმა მირს დაიხედა.

— რა ჰქენი, ბიჭო, აბა რად გასტეხე!—შეშინებული ხმით უთხრა კოტემ, რომ ბრალი არ დასდებოდა.

— მე რა, რა ჩემი ბრალია, თქვენ არ ამიხვიეთ თვალები! მე რასა ვხედავდი,—თავს იმართლებდა შალვა.

— არა ჰხედავდი და როცა დედა მოვა, მაშინ დაინახავ,— ნიშნის მოგებით დაუმატა კოტემ.

— შვილონიასა, სული გამიმწარეთ ცემა-ტყეპითა და თვალებიც მაგრა შემიხვიეთ, სუნთქვა შემეკრა,—ბუზღუნებდა შალვა.

— ბარემ ისა სთქვი, რომ ჩვენ გავტეხეთ!—ჩაერია ლაპარაკში თინა.

— არა, როდი, მაშ მე გავტეხე თქვენი სიტყვით!

— ჰო, აბა, სულ ჩვენი ბრალია, რომ შენ ხელები საცა არა მგონია, დაატაკე. რამდენი გიყვირე, ცეცხლი-მეთქი, ყრუ იყავი?

— არც ჩემი ბრალია, მე არ გამიტეხია!—ხელი დაიბანა თინამ—ახლა დედა რომ მოვა, რა უთხრათ?

— რა უნდა უთხრათ? ისა რომ სულყველამ გავტეხეთ-თქო,—უპასუხა შალვამ.

— მაშა, მაშა, შენ ხელები აფათურე, და ჩვენ დავამტვრიეთ. ჩვენ რა შუაში ვართ!

— ჰო, და!—კვერი დაუკრა თინამ კოტეს და განზე გადგა.

თამაშობა ჩაიშალა. შემოსულმა გადიამ მრისხანედ შეჰხედა ყველას და დალეწილი ლამპა რომ დაინახა იატაკზე, მუხლებზე ხელი დაიკრა!

— უი, თვალი კი დამიდგა, უი, ჩემ თვალებსა! ეს რა ჩემი დაღუპვა და დანელებაა? რა გიქნიათ ესა, თქვე სახელ-გასაწყვეტლებო? რა პასუხი გავცე ახლა ქალბატონსა? არ მეტყვის, რატო არ დაბრმავდი, როცა შენმა თვალებმა ესა ნახესო? აქედან დამეკარგენით, თქვე საძაგლებო, თორემ არ ვიცი, რა გიყოთ!

კიდევ ბევრს მოსთქვამდა და სჩივოდა მაია, მაგრამ ბავშვებმა დროით ისარგებლეს და ხმის ამოუღებლივ კუდ-ამოძუებულნი სამზარეულოში გაიპარნენ.

მზარეულის მაგიდაზე თინამ ფულს მოჰკრა თვალი და ხელი წაატანა.

— ბიჭოს, ზაქარას დაჰვიწყებია! მოდი, ვიყიდოთ რამე ამ ფულით და ვჭამოთ.

— იმას არც კი ესსომება, რო აქ დადო. ვიყიდოთ რამე! — წაექეზა კოტემ თინა.

— რას გაიგებს, სიბერით გამოურუებულია, ბევრი ახსოვს, სად რა დასდო!—დაუმატა შალვამაც.

— ბულკი, ტკბილი ბულკი, ცხელ-ცხელი ბულკი!—მოისმა ამ დროს ქუჩიდან.

— ბულკი ვიყიდოთ, ბულკი! აგერ, პეტრუზა ყვირის. გაიქე ჩქარა, თინა, თორემ მერე ველარ დაეწევი!—სხაპა-სხუპით უთხრა შალვამ თინას.

ბავშვები საჩქაროდ გაცვივდნენ გარედ და პეტრუზა გამოაბრუნეს; ფაცხა-ფუცხით იყიდეს და იქვე დაიწყეს გამალებით ჭამა, რომ გადიას არ მოესწრო. მოილოკეს ტუჩები და ოთახში პირ-მოკრიალებულნი შებრძანდნენ, ვითომც აქ არაფერიაო.

ცოტა ხანს შემდეგ მზარეულმა თუხთუხა სამოვარი შემოიტანა და მაგიდაზე დადგა. გადიამ ყველას თითო ჭიქა დაუსხა და თითონ ლოგინების მოსამზადებლად გავიდა საბავშვო ოთახში.

— ეს სკამი ჩემია!—დაიძახა კოტემ და ზედ დაჯდომა დაასწრო შალვას.

— მაშ ეს ჩემია!—სთქვა შალვამ და თინას სკამი გამოაცალა.

თინა ის-ის იყო დაჯდომას აპირებდა, თავი ველარ შეიკავა და მირს დაეცა უსკამოდ.

— ჩემია-მეთქი!—წამოხტა გაანჩხლებული, ცრემლ-მორეული თინა და ძმას წაებღაუჭა.

— ვერ მოგართვი მოხარშული ბადრიჯანი!

— მომეცი ჩემი სკამი, თითქმის ზედ ვიჯექი, ჩემია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, თუ შენია და წაიღე,—არ ანებებდა შალვა.

გაიმართა ხელჩართული ბრძოლა: შალვამ თმაში წაავლო თინას ხელი, თინამ შალვას ცხვირში ჩასჭიდა და შეჰქმნეს ერთი ორომტრიალი; გოგიამ ამის დანახვაზე ტირილი მორთო, კოტე კი თავისთვის არხეინად იჯდა სკამზე და გულიანად ხარხარებდა.

— არ მისცე, შალვა, არ მისცე, ბიჭო, გოგომ როგორ უნდა გაჯობოს!—აქეზებდა კოტე შალვას.

— თინა, ყურში ჩასჭიდე მაგრა ხელი, მაგან როგორ უნდა გაჯობოს, ქათამივით ორი ფეხი აბია!—ახლა თინას დაუწყო წაქეზება კოტემ.

ამ მიმგილსა და ბღლარმუნში ბავშვებმა ჩაით სავსე ჭიქას მოახვედრეს ხელი და ფუფქი ჩაი ზედ ხელზე გადაასხეს კოტეს.

ახლა კოტემ დაიწყო ბღავილი, სიმწრით, მოჩხუბრებმა ერთმანეთს ხელი უშვეს და იმას და უყურებდნენ.

ამ ღრიანცელზე, სად იყო, სად არა, მაიაც გაჩნდა.

თქვენ არ მოგასვენათ გამჩენმა ღმერთმა, რა ღვთის რისხვა და ღვთის წყრომაა, ქა! მალიან დაიწვი, გენაცვალე?—ეკითხებოდა მზრუნველი მაია კოტეს და თან უალერსებდა.—რაღა ვქნა ახლა, გენაცვალეთ, რა წყალში ჩავარდე... ზაქარა, ჩქარა კართოფილი დანაყე და მოიტანე: ბავშვმა ხელი დაიფუფქა! ასტუდებით ხოლმე სამგლე გოჭებივითა და მანამ არას მოასდენთ, აღარ მოისვენებთ.

თინა და შალვა ჩუმად გაიპარნენ თავის ოთახში, და ხმის-ამოუღებლივ გათხარეს თავ-თავის ლოგინი და ჩაწვნენ.

ცოტა ხანს შემდეგ ხელ-შეხვეული კოტეც შემოვიდა ბზუკუნით და ჩაწვა ლოგინში.

მაგრამ არც ერთს მათგანს არ ეძინებოდა. შალვა და თინა დიდს შიშში იყვნენ დედის მოლოდინში, კოტე კი სიმწრით ბღუოდა.

— აი, მეც მოვედი!—შემოაღო კარი ქეთევანმა, მაგრამ ტირილის ხმა რომ მოესმა, სახე შეეცვალა.—რაო, რა მოხდა? ვინა სტირის?

— მოუსვენრები არიან, ქალბატონო! ერთმანეთს თავპირი დაამტვრიეს... არ იქმნა და აღარ მოისვენეს; იქ გოგია აატირეს თხილის გულისთვისა, აქ კოტეს ცხელი ჩაით ხელი დაუფუფქეს, იქ სასტუმრო ოთახში კიდევ ლამპა დაამსხვრიეს. რა ვქმნა, რა უყო, ქალბატონო, სული გამიმწარეს!—ჩიოდა საწყალი მაია.

-- ეოჩაღ, ეოჩაღ, ბარაქალა, შვილებო, გაახარეთ დედის გული თქვენი კარგი ქცევითა!—უსაყვედურა შვილებს ქეთევანმა.—წადი, ზაქარას უთხარ, კართოფილი კიდევ დანაყოს და მოიტანოს, გამოუცვალე.

— აღარ გახლავთ მეტი, ქალბატონო, რაღაც ორიოდე ცალი და ეგდო და სულ დანაყა,—უპასუხა მაიამ.

— უთხარ, ჩქარა წავიდეს და იყიდოს; წეღან სამზარეულოში წვრილი ფული დავდე მაგიდაზე და იმითი იყიდოს.

-— მაია, გავიდა მაგრამ ისევ მალე დაბრუნდა.

— ზაქარამ მოგახსენათ, ქალბატონო, მეცა ვნახე წეღან ფული, მაგრამ რომ შემოვბრუნდი, იქ აღარ დამხვდაო.

— ვინ აიღო მაშა?—სთქვა ქეთევანმა და საფულე გახსნა, ამოიღო წვრილი ფული და გადიას გადასცა.—უთხარი მალე წავიდეს, აჰა!

გადია ისევ გავიდა.

— რომელმა აიღო ზაქაროს ფული?—მიუბრუნდა ქეთევანი ბავშვებს, როცა გადია გავიდა.—ის ხომ იმის საკუთარი ფული იყო და იმისიც რომ არა ყოფილიყო, განა დაუკითხავად რისიმე აღება შეიძლება?

ბავშვებმა სული გატვრინეს. ხმას არც ერთი არ იღებდა.

— რომელმა აიღო მეთქი ფული?—გაიმეორა ქეთევანმა გაჯავრებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინამ მოუსვენრად დაიწყო ლოგინში ტოკვა.

— შენ იქნებოდი, შე არ-გასაშვებო!—მიხვდა მის მოძრაობაზე ქეთევანი.

— მე ავიღე!.. წუნარად აღიარა დანაშაული თინამ,—მაპატიე, დედილო, მე მეგონა... ზაქარას დაავიწყდა და აღარ მოიკითხავს მეთქი...

—რომ დაჰვიწყებოდა კიდეც, განა მაგით უნდა ისარგებლო, ეგრე უნდა მოქცეულიყავი? არა გრცხვენია!—დასტუქსა დედამ თინა.—ადექი ახლავე, ჩაიცვი; წადი, გაუტანე ზაქარას ფული და ბოდიში მოიხადე შენ საქციელზე.

თინამ ხმის ამოუღებლივ, ტირილით ჩაცმა დაიწყო.

შემოვიდა ზაქარა კართოფილით ხელში. თინას ბოდიშის მოხდა ეუცხოვებოდა და ადგილიდან არ იძროდა.

— მე რა გითხარი?—მოაგონა დედამ თინას,—მიდი ახლავე და ბოდიში მოიხადე! ზაქარა, დაიცადე!

თინა ნელ-ნელა მივიდა ზაქარასთან, თავი დაღუნა დარცხვენილმა და ოდნავ გასაგონი ხმით წამოილუღლუღა:

— შენი ფული...მე ავიღე, ზაქარა! მიპატიებია... აღარ ვიზამ!

ამ სიტყვებზე ზაქარას კეთილ სახეზე ფართე ღიმილი გამოიხატა, ვეღარც ქეთევანმა შეიკავა თავი და იმანაც გაიღიმა.

— მიპატიებია კი არა—მაპატიე თქო!—გაუსწორა ქეთევანმა.

— მაპატიე, კვლავ აღარ ვიზამ!—გაიმეორა თინამ.

— წადი ახლა და დაიძინე, კვლავ აღარ გაბედო მაგისთანა სისაძაგლის ჩადენა, თორემ არ ვიცი, რას გიზამ,—დააბოლოვა დედამ.—თქვენც ჭკუით მოიქეცით ხოლმე, აბა რასა ჰგავს დღევანდელი თქვენი საქციელი.

ქეთევანი გავიდა ოთახიდან და კარი გაიხურა.

ბავშვებმა მალე ჩაიძინეს. მხოლოდ გადია უჯდა კიდევ კოტეს საწოლთან და ტკივილის დასაამებლად წუნარი ხმით ზღაპრებს უამბობდა.

**დემნა მროველი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ოქროს თავთავი

(გადმოკეთებული შიო მღვიმელით)

**ზღაპარი**

(ერთ-მოქმედიან სურათად).

(დასასრული *)

ჩიტი. ცაო, ცაო, ნეტამც კი
ნატვრა ამიხდებოდეს,
ამ ბიჭიკოს მიეზღოს,
როგორც შემართლებოდეს. (გაფრინდა. ბიჭიკო ის ის არის ძნას იკიდებდა, რომ მოისმა ტირილი. შესდგა. გამოჩნდა გოგონა).

გოგონა. მიშველე.... ცხვარი დამებნა,
შინ ვერ მივალ მამასა.
მეზობლები ვართ, მიშველე,
შემდეგ გადგიხდი ამაგსა.

ბიჭიკო. ახლა მოჰყვები... „უშველეთ"!
ერთი უყურეთ ამასა!
რა დროს შველაა, ღამდება!
თუ გსურს, წავიღებ ამბავსა,
რომ მოგეშველნონ დაძმები...

გოგონა. კი, მაგრამ დავგვიანდები.

ბიჭიკო. მერე მე რა ვქნა? ახია,
მარტო რას დამიბრძანდები?

გოგონა. რა დროს ჯიბრია, ღამდება...

ბიჭიკო. მეც მიტომ მივეშურები...

*) იხილე 1918 წ. „ნაკადული"-ს № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ვინმე ვნახე, მოვუსმობ,
ნუ დაგიშვია ყურები...

(ზურგი შეაქცია, გოგონამ ხელი გაიქნია, წინ გადაედობა და რეჭანად გამოეცხადა).

რეჭანა. სულ ეს არის შენი აღთქმა.
ჭაჰ-ჭაჰ-ჭაჰ! ამაზეავს
რადას ვნახავ?.. ჩემო კარგო,
ვერ მიიღებ ოქროს თავთავს.
შენ პირობა დაარღვიე,
საღამომდინ ვერ გასძელი.
აგი გითხარ: სათნოებას
და სიყვარულს აქვსთ გზა ძნელი.
მაგრამ ჯერ მთლად არ გიწყრები,
მსურს კვლავ ვცადო ბედის ჩარხი;
იქნებ თავზე დაგეხუროს
აღთქმისაებრ მზის ჩარდახი.
ეს ასეა ამ ქვეყნადა:
სიხარული ტანჯვასა სდევს,
და რომ ორნი ერთად ჭქრიან,
სილამაზეც მათ ფასსა სდებს.
შემდეგ ვნახოთ... გეთხოვები,
იყავ სათნო, ღვთისნიერი,
შენმა ბედმა, სიყვარულმა
გყოს დღეგრძელი, ბედნიერი!

(ჭქრება. ბიჭიკო თვალებ-დაჭყეტილი დარჩა. სურათი. ფარდა ეშვება იმ დროს, როცა ახდა დაიწყო ავან-სცენის პატარა ფარდამ).

მღვიმელი. შინ რომ მივიდა, მნის კონა
მიაგდო კუთხეს მწყრალადა,
გულში ნაღვლობდა, რომ ამ დღეს
მოიქცა ასე ავადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგონა. მერე? გათავდა ზღაპარი?
მღვიმელი. ეჰ, ჯერ სად არის... კვლავ იყოს...
თორემ გადატყდა ეს ღამე,
მამალიც იტყვის „ყიყლიყოს“.
გოგონა. არა, დღეს იყოს, დღეს—მიავ,
მერე?!..
მღვიმელი. რა მერე? დღეს კმარა...
გოგონა. აი ვიტირებთ...
მღვიმელი ჰო, კარგი.
იყო და.. არა იყო რა...
ჰო, რას ვამბობდი?
გოგონა. ბიჭიკო
დარჩა კვლავ ნამჯის ამარა.
მღვიმელი. მახსოვს... შემდეგშიც მის თავზე
ბევრმა რამ გადაიარა.
სულ ფიქრში იყო, რაც ნახა,
ან რაც გაანდო რეჰანამ,
მის ხილვის ნატვრით დაჰკარგა
ფერი ამ მთელმა ქვეყანამ.
სამი დღე ასე გასტანა,
ბრძოლა-ვაება-ვიშშია,
ოფლს ჰღვრიდა თავთავთ კრეფაში,
ჩავარდა გასაჭირშია.
აგერ, მოღამდა კიდეცა,
დრო აღარ არის შრომისა,
მესრე შინ მოდის, ღიღინი
გაისმის შორით-შორისა.
შინ კი ბიჭიკოს დედილო
ელის თვალ-ცრემლებიანი,
სულ ელანდება ნაამბი

ფრთოსანა ცელებიანი.
დაჩოქილია ხატის წინ,
ხელნი ცად აუმართნია,
მის თავზე სანთლის სხივებსა
ბინდ-ბუნდი გაუფანტია.
ნარნარა ანგელოზები
დაჰქრიან გუნდად, გალობით,
ვარსკვლავთა გვირგვინებითა
ოჯახს ავსებენ წყალობით.
მაგრამ უყურეთ—დედილო
რას ევედრება ცრემლითა,
სათნოებისა ცრემლი სდის,
თრთოლავს თაყვანისცემითა.

(ნელ-ნელ მთავარი სცენის ფარდა იხდება. ღარიბი ოჯახი. დარბაზის გვირგვინიდან საკიდელა. კედლის კუნჭულში ხურის ჯვარია, ღვთისმშობლის ხატი. მის წინ დაჩოქილია ბიჭიკოს დედა—მაიკო. სანთლის შუქში იგი უმზერს ანგელოზებს. ქერაბიმნი და სერაბიმნი ქნარზე საგალობელს უკრავენ. უკანასკნელი აკორდი შესწყდა ფარდის სრულს ახდისთანავე).

მაიკო. დიდება შენდა, ციურო მალო,
სასწაულების დიდო მოქმედო,
ღრუბელთ სამოსლით გაბრწყინვებულო,
ქვეყნიერების მძლე-შემოქმედო.
კურთხევის სხივად გარდმოგვივლინე
შენს შვილთ წყალობა ვარსკვლავთ ხელითა,
მისმინე თხოვნა, შენ, ვინც მიმოხვალ
არწივთა ფრთებით ზღვათ და ხმელითა.
(ხელებს ააპყრობს)

(ადგება. კარი იღება. შემოდის ბიჭიკო. ბეჭებზე ორი ძნა ჰკიდია. შემოსდევს დიდედა).

ბიჭიკო. აი, დედილო, მოველი,
დიდედაც ამ ძნას ჰზიდავდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელში მოხრილი ოთხადა
საწყალი მალზე ჰგმინავდა.
და მივეხმარე. არ გასწყრე,
ამიტომ დამიგვიანდა,

მაიკო. შენ გამახარე, შენი მზეც
ჰირს ოქროს ნამით იბანდა,

დიდედა. შენ მართალს ამბობ, მაგის მზე
მუდამ იქნება მცინარე,
თუ მაგის გული არ იქნა
ძველებურადა მმინარე.
ვიდრე ავდგები და წავალ,
მსურს რომ დაგლოცოთ მაღლითა:
აქ კი საზომი სულ სხვა მსურს,
არ ვზომავ თქვენი ადლითა:

(ხელს ასწევს. შავი სამოსი ჩამოჰშორდა და რეჭანად გამოცქრიალდა. დედაშვილი განცვიფრებით ერთმანეთს მისცვივდნენ და თვალები დააჭყიტეს).

ბიჭიკო. დედა, ის არის...

მაიკო. ასე ვცნობ,
თითქოს მენახოს წელანა...

ბიჭიკო. შენს თავსა ვფიცავ... ის არის...
მზე... ანგელოზი... რეჭანა...

რეჰანა. დიახ, ისა ვარ... აღსრულდა...,
ნებაყოფლობა ღვთისაა!
ვინც ჭკუით არის, მოიგებს,
ვინც არა, მისიც სხვისაა!
როცა თავლიად დარბოდი,
მავიწყი, გამალებული,
აღარ გახსოვდა ჰირობა,
მით იყავ გახარებული.
თუ ჭიანჭველად მნახავდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხს დამარტყამდი მწარედა,
ან და ჩიტს მოჭიკჭიკესა
ქვას მომარტყამდი ფრთაზედა.
დღეს სულ სხვა იყო: მომხედე,
აღარ მიმიღე ავადა,
ამიტომ აღთქმის პირს მოვხსნი,
წინ გედგმით ჩემი კალათა.

(ხელს შეახებს ძნას, ოქრო დაიწკრიალებს და აქეთ-იქით გორდება)

აი, ეს ოქროს თავთავი,
აღთქმული იმავ თავითა;
დღეს ქორწილია ბედობის,
მოგრთავთ სულ სხვაგვარ კაბითა.
ახლა უყურეთ მჭვარტლიანს
ამ ჯაჭვს და საკიდელასა,
იმდენი რამე მოგიმღვნათ,
გეყოთ თქვენც და თქვენს ყველასა.

(შეარხევს საკიდელას და ვარსკვლავები იწყებენ თოვას)

ახლა ამ კედელს შეხედეთ,
ეგეც შეიცვლის იერსა,
დარბაზის გვირგვინს დავუდგამ
კანდელად ცისკრის მთიებსა!

(ხელს გაიქნევს და გვირგვინში მშვენიერი მთიების კანდელი ჩამოეშვება, ნომლის სხივები სცვლიან მთელი დარბაზის მოწყობილებას. დიადი განათება. რამგალა მთვარე მიმოსცურავს მშვენიერების ზღვად ქცეულ კედლებზე).

ახლა ამასაც უყურეთ,
ესაა ბედის თასია,
ვინ ნახოს მომკვდავთა შორის
ასეთი ძღვენის მზგავსია?

(კვლავ ხელს გაიქნევს. გამოსცურდება ოქროს აკვანი, სურნელი ყვავილებით)

დასტკბით ამ მვირფას სურნელით,
იყავნ კურთხეულ ძარადა,
აგცილდეთ ყველა ბოროტი,
მახსენებელი ავადა!
მშვიდობით... (გაჰქრება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიკო. (გაბრუებული) შვილო!.. (გადაეხვევა ბიჭიკოს)
ბიჭიკო. დედილო!
მაიკო. შენ გენაცვალოს მშობელი,
შენა ხარ ჩემი სიცოცხლე,
სამოთხის შემამკობელი!
შენმა გულმა და სიმართლემ
ჭირი ლხინადა გარდაჰქმნა;
რომ ღმერთი არის მშველელი
განაღა უნდა ამას თქმა?
(ჩაეკონება. შემდეგ ხატის წინ დაიჩოქებს და მიუთითებს)
ღმერთი... ოჰ, ღმერთი!.. გწამდეს ის
დღეს, ხვალ, ზეგ, მაზეგ, მარადა,
იგი იქნება ნუგეში
მაშვრალთა დასაფარადა!
(სურათი. ფარდა. ავანსცენაზე პატარა ფარდა აიხდა).
ვოვო ა. და... გათავდა? სულ ეს არის?
მღვიმელ . დავიღალე, ძილის დროა,
სხვა ზღაპრები სხვა დროისთვის
ბიძა თქვენმა მოაგროვა.
გასწავლით, რომ ეს ცხოვრება
თამაშია ლხინის, ჭირის,
კაცი იმად არის კაცი,
რომ იცინის და ხან სტირის.
მაგრამ ერთი უკვდავია:
სათნოება, სიყვარული,
თუ გვასტუმრებს მწუხარებას,
იქ თანა გვსდევს სიხარული.
მაგრამ ეს ხომ სხვა ზღაპარს მთხოვს,
ახალ-ახალ „ოქროს თავთავს!“
ჯერ ეს იყოს, კვლავ მოგითხრობთ
სულ სხვა ქვეყნის სულ სხვა ამბავს!

ფ ა რ დ ა.

დ. კასრაძე.



# წვიმის წვეთი

გუშინ ის ალმასივით ბრწყინავდა მარჯნით შემკულ და წყლის ბალახებისაგან შეკრულ გვირგვინზე, რომელიც უმშვენებდა ჭაღარა თმას წყლის მეფეს! რა მჭვირვალე, რა ბრჭყვიალა იყო ეს პატარა წვეთი! მაგრამ ამომავალი მზის სხივი ჩაეშვა ზღვის სამეფოში; მეფე იჯდა ფირუზის-ფერ, მჭვირვალე ბროლის ტახტზე და სთვლემდა; სხივმა პირდაპირ დაჰხედა მას, უკვე საკმაოდ მოხუცებულ თვალებში, გამოაღვიძა ტკბილი ძილისაგან, გადაავლო თვალი ბრწყინვალე წვეთს, მოეწონა, სიამოვნებით დაეკონა და აღიტაცა ზღვის სამეფოდან მაღლა, გააქანა შორს, შორს...

ცნობისმოყვარეობით აკვირდება ახალგაზრდა, ბრჭყვიალა წვეთი თვალ-უწვდენელ ქვეყნიერებას, რომელიც სრულებით არა ჰგავს ზღვის მეფის სამფლობელოს, სადაც ის დაიბადა. მაღლა, ცის კამარაში აიტაცა ზღვის სხივმა პაწია წვეთი და დასტოვა იქ. მიიხედ-მოიხედა წვეთმა და ძლიერ გაუკვირდა, როცა დაინახა მრავალი თავისი მონათესავე წვეთები; ესენი უფრო დიდრონი იყვნენ და გარს ეხვიათ ნაზი, თეთრი ღრუბელი.

ძირს დაიწია ახალ-მოსულმა, რომ უფრო კარგათ დაენახა მის ქვეშ მდებარე დედა-მიწა, სადაც ყველაფერი მისთვის უცნობი და საინტერესო იყო. სამწუხარო სურათი გადაიშალა ცნობის-მოყვარე წვეთის წინ: პატარა, ღარიბი სოფელი, სადაც სახლების მაგიერ საცოდავი ქოხ-მახები სჩანდნენ ჩამ-

წკრივებულნი; ზოგიერთს სახურავიც აღარ შერჩენოდა, რადგანაც ჩალა საქონლის გამოსაკვებად ჩამოეღოთ. თიხნარი ნიადაგი სოფლისა დიდი ხნის გოლვისაგან გამხმარა და დახეთქილა, პატარა რუ თითქმის სრულიად დამშრალა, თავჩაქინდრულნი, მოწყენილნი დახეტიალობენ მალზე გამხდარი ძროხები და ხარები. ადამიანებიც, არა ნაკლებ გამხდარნი, მზისაგან დამწვარი სახით, დაფლეთილ ტანსაცმელში გახვეულნი, დაეხეტებიან, თვალები სასოებით მიუპყრიათ ლაჟვარდ ცისაკენ, რომელზედაც მოსჩანს პაწია ღრუბლის ნაწყვეტი. მთელი წელიწადია ეს ხალხი განიცდიდა საშინელ შიმშილს, მაგრამ ითმენდა ყველაფერს ახალი მოსავლის იმედით, ახლა კი ხანგრძლივმა გოლვამ ეს იმედიც დაუკარგა, და შველას ელის მხოლოდ ცისაგან.

მხურვალე ლოცვით მიმართავენ ქვეყნის გამჩენს, სთხოვენ წვიმას, და ამ იმედით კიდევ სცოცხლობენ. დიდი ხანია სოფელში არ ისმის არც სიმღერის, არც მუსიკის ხმა, არც მხიარული სიცილ-ხარხარი: თითქო ყოველივე გაქრა, აღარ არსებობს; პატარა ბალღებსაც კი დაეკარგათ თამაშის ხალისი. დიდი ხნის შიმშილმა არაქათი გამოულია, ბავშვს ბავშობა აღარ ემჩნევა, შეშინებული სახით აქეთ-იქით იცქირებიან და ლანდებსავით დაცოცავენ.

პატარა, ახალგაზდა წვეთს უსაზღვროდ შეეცოდა საბრალო ხალხი—ეს ცოცხალ-მკვდარი არსებანი; მის ნორჩ გულში აინთო სიბრალულის ცეცხლი და გადასწყვიტა ყოველი ღონე ეხმარა მათ საშველად; მან კარგად იცოდა, რომ მარტო ვერას გახდებოდა, რომ კიდევაც ჩამოქცეულიყო სოფელზედ ვერ მორწყავდა დედა-მიწას ისე, რომ ხალხი გადაერჩინა შიმშილისაგან. იცოდა ეს კარგად პაწიამ და მოწიწებით შესთხოვა ზევით თავის უფროს დებს, რომელნიც ღრუბლებში იყვნენ დამალულნი:—საყვარელო დებო, დავეშვათ ერთად ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მაღალი საბრძანებლიდან ქვევით, სადაც უწყლოდ იტანჯება ამდენი სულდგმული, შხაპუნა წვიმად ვიქცეთ და მოვრწყოთ გამხმარი ველ-მინდორი, გადავარჩინოთ სულიერი არსებანი შიმშილს. აბა, დებო, შეისმინეთ ჩემი ვედრება, ავჩქარდეთ“!

როდესაც დებმა პასუხი არ მისცეს ამ მუდარაზე, წვეთმა მიმართა თეთრ ღრუბელს, რომელიც ფარავდა წყლის წვეთებს:—მეირფასო და საყვარელო თეთრო ღრუბელო, დაიტვირთე წყლით, გადაიქეცი შავ ღრუბლად, მოევლინე შხაპუნა წვიმად ტანჯულ სოფელს, დაიხსენი ხალხი შიმშილისაგან.

მხიარულად მოუსმინა თეთრმა ღრუბელმა ახალგაზდა წვეთს, მისი ნაზი სამოსლიდან გამოკრთა მზის მხიარული სხივი, სწორედ ის სხივი, რომელმაც ზღვის ფსკერიდან აიტაცა წვეთი და გააქანა განუსაზღვრელ სივრცეში; გაუღიმა სხივმა ნაცნობ წვეთს, თითქო ლოცავდა ამ პაწია გამჭვირვალე არსებას მისი კეთილი სურვილებისათვის.

გათამამებულმა სხივმა დაიწია ქვევით. დაჭბერა ღონიერმა ქარმა. მჭვირვალე თეთრი ღრუბელი უეცრად გადაიქცა შავ ღრუბლად და გადაეკრა ცას; გაისრიალა ცეცხლის ზოლად ელვამ, მოისმა ქუხილი და შხაპუნა წვიმა დაეშვა სოფელზე.

ხარბად შეისრუტა დახეთქილმა ნიადაგმა მაცოცხლებელი. სინესტე, და ბუნება მართლა გამოცოცხლდა: მცენარეებმა ჩაქინდრული თავები მაღლა ასწიეს, აბიბინდა ველ-მინდორი, მხიარულად აჭიკჭიკდნენ ფრინველები; პაწია წვეთი კი, ნასიამოვნები, რომ შეასრულა დიდი საქმე, მხიარულად აჰყვა მზის სხივს ისევ უსაზღვრო სივრცეში და მიიმალა.

მეტი რაღა უნდოდა? განა თავის თავზე ფიქრობდა? ხედავდა, რომ მას პატარას წილი უდევს იმ დიდ საქმეში, რომელიც მის თვალ წინ გაკეთდა. პატარა წვეთი კარგად გრძნობდა, რომ მისთანა უსუსურებიც მეტი არ არიან ქვეყანაზე, მათაც შეუძლიათ თავისი მალ-ღონის შესაფერი სარგებლობა მოუტანონ ქვეყანას. ამ რწმენით გამსჭვალული მხიარულად გაცურდა პაწია წყლის წვეთი უსაზღვრო სივრცეში.

იტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შემოწირულებანი:

დეიდა ნინო, ჩემ პაწია მოძმე ობოლ ჯავახელ ბავშვების სასარგებლოდ გავმართე პატარა წარმოდგენა, რომლის შემოსავალს 3 მანეთს და 25 კაპეიკს გიგზავნით მათ გადასაცემად.

**ვასიკო ციციშვილი.**

**უსაყვარლესო ძალუავ ნინო.**

საახალწლოთ პაპა ჩემმა მაჩუქა 100 მანათი, და მიამბო რომ თქვენის შემწეობით დაარსდა თავშესაფარი ქართველ ღარიბ ობლებისათვის, რომლებსაც ჩემზე უმეტესად ეკუთვნისთ მოვლა და გახარება ამ ბედნიერ დღეებში.

გთხოვთ, საყვარელო ძალუავ, ამ 100 მანათის გოზინაყი მიაწოდოთ მათ ჩემის დაუვიწყარ ბებიის სულის მოსახსენებლად.

ხელზე კოცნით დავრჩები, თქვენი პატივცემული

პაწაწინა **მარინე ყაზბეგი.**

# რედაქციისაგან

სიამოვნებით ვბეჭდავთ წერილებს ჩვენი პატარა მკითხველებისას. შემოწირული ფულით განზრახულია ობოლ ბავშვებს თავშესაფარში გაუმართონ შობის ხე. თავშესაფარის დამაარსებელნი დიდ მადლობას სწირავენ შემომწირველთ და დიდათ მოხარულნი არიან, რომ პატარა ბედნიერი და მხიარული ბავშვები არ ივიწყებენ, უბედურ პატარა უდედმამო ობლებს, რომლებიც ომის საშინელებამ გამორეკა თავიანთ მიწა წყლიდან, მოჰგლიჯა მშობლიურ კერას და სამუდამოდ დაუკარგა დედის ალერსი.

ბავშვებო, იმათ თქვენ, ბედნიერებმა და დედმამიანებმა, უნდა ძმობა გაუწიოთ და ჩვენ, თქვენმა მშობლებმა, მათ მშობლების მაგიერობა. იმ ბავშვებმა შესწირეს ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის ყოველიფერი, რაც მათთვის ძვირფასი და საყვარელი იყო, და ნუ თუ ჩვენ მოსვენებული და ბედნიერი ვიქნებით, თუ ისინი ისევ დაღონებულნი დარჩებიან. წარმოიდგინეთ 110 პატარა ბავშვი, რომელთაც არც ერთს არც ერთი სათამაშო ნივთი, არც ერთი წიგნი, არც ერთი რამ გასართობი ან გემრიელი ტკბილი ხილი არა აქვს, და არც არავინ ჰყავს რომ მიაწოდოს, უყიდოს იზრუნოს იმათთვის, ისე როგორც თქვენთვის ზრუნავს კეთილი დედა. ნუ დაივიწყებთ ბავშვებო, პატარა ჯავახეთიდან გადმოხვეწილ ობოლ ბავშვებს, საქართველოს მომავალ მოქალაქეთ თქვენ ძმებსა და დებს.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **ი. პ. თუმანიშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

## დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეთოთხმეტე. **„ნაკადული“** წელიწადი მეთოთხმეტე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით

საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით

**მცირე-წლოვანთა და მოზრდილთათვის.**

ჟურნალი გამოვა თვეში ერთჯელ მცირე-წლოვანთათვის, 48 გვერდი და მოზრდილთათვის 64 გვერდი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**55** მან. ნახევარი წლით—**30** მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის—**30** მან. მოზრდილთათვის—**30** მან. ფოსტის ადრესი: თბილისი „ნაკადულის“ რედაქცია. ტელეფ. 7—51.

**რედაქციაში არის გასული წლის კომპლექტები.**

**ხელის მოწერა მიიღება**

**თბილისში**—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. შემოსასვლელი—დავითის ქუჩიდან, № 2., წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიძესთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან—ფოსტაში, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ი. წერეთელთან. **ხონში**—მ. ი. ჰავქანიძესთან. **ოზურგეთში**—სალომე ხუნდაძესთან, **ლანჩხუთში**—მასწავლებელ ჯულელთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**